ბ.პ ჰესი

ქ. თბილისი, ზარზმის N3

ტელ: (+995) 599 712 266

iraklidolidze93@outlook.com

N-03/22

07 აპრილი 2022 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ **ოთარ შამუგიას**

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ბ.პ. ჰესი" ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. სულორის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. სულორზე გეგმავს 4.8 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრის ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (სულორი 1 ჰესი-0.80 მგვტ და სულორი 2 ჰესი 4.0 მგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, საპროექტო ჰესები წარმოადგენს მდ. სულორის ბუნებრივ ჩამონადენზე დერივაციული ტიპის მცირე ჰესებს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად, სულორი 1 ჰესის პროექტი (დადგმული სიმძლავრე 0.8 მგვტ) გარემოზე ზემოქმედების პროცედურას არ ექვემდებარება, ხოლო სულორი 2 ჰესის პროექტი (დადგმული სიმძლავრე 4.0 მგვტ) კოდექსის II დანართის მე-3 მუხლის, 3.8 ნაწილის შესაბამისად მიეკუთვნება სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

გამომდინარე იქედან, რომ პროექტის განხორციელება დაგეგმილია რთული რელიეფის მქონე ხეობაში, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურის და ჰესის კომუნიკაციების მოწყობასთან დაკავშირებით არსებობს ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები, შპს „ბ. პ. ჰესმა" მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, პროექტის განხორციელება მოხდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე მიღებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის გარეშე.

წარმოგიდგენთ სულორი 1 ჰესის და სულორი 2 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართის სახით წარმოგიდგენთ:

1. სულორი 1 ჰეს-ის და სულორი 2 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 8714
11.09.2022
02

2. სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS (SHP Files) ფორმატში;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ბ. პ. ჰესი"-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

შპს „ბ.პ. ჰესის"-ის

დირექტორი

ირაკლი დოლიძე